

ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა სალოცავი

შემოქმედებითი გაერთიანება „თარბუთის“ ლიტერატურულ-შემეცნებითი პერიოდული გამოცემა

ძვირფასო ჯამათო!

ვილოცავთ შაბუყოთის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ძრავალს დაესწართ! ლეხაიიმ!

ათი მცნება:

1. მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანე ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან. არ გყავდეს სხვა ღმერთები, ჩემს გარდა.
2. არ შექმნა შენთვის ქანდაკება და არავითარი გამოსახულება იმისა, რაც ცაშია ზემოთ, რაც ძირს დედამიწაზეა და რაც წყალშია მიწის ქვეშ. თაყვანი არ სცე და არ ემსახურო მათ...
3. არ წარმოთქვა შენი უფალი ღმერთის სახელი ტყუილუბრალოდ...
4. გახსოვდეს შაბათი დღე, რათა წმიდაჰყო იგი...
5. პატივი ეცი მამაშენს და დედაშენს...
6. არა კაც-კლა.
7. არ იმრუშო.
8. არ იქურდო.
9. არ დაუდგე შენს მოყვასს ცრუ მოწმედ.
10. არ ინდომო შენი მოყვასის სახლი; არ ინდომო შენი მოყვასის ცოლი, მისი მონა და მხევალი, მისი ხარი და სახედარი, და ყოველივე, რაც შენი მოყვასისაა.

ბ ე მ ი ღ ბ ა რ

დამდეგ შაბათს გადავშლით „ხუმაშის“ მეოთხე წიგნს „ბემიდბარ“, რომელიც ათ ფარაშას მოიცავს და მოგვითხრობს ებრაელი ერის უდაბნოში ცხოვრების თითქმის 39 წლიან ისტორიას – გამოსვლის მეორე წლის მეორე თვის დასაწყისიდან მეორმოცე წლის მეთერთმეტე თვემდე.

ეგვიპტის ტყვეობიდან თავდაღწეულ მონათა თაობას თანდათან ცვლის ახალი, უდაბნოში დაბადებული თაობა. საინტერესოა, რომ თალმუდის ბრძენნი სასიკვდილოდ განწირულ „უდაბნოს თაობას“ („დორ ჰამიდბარ“) „სინათლის თაობად“ მოიხსენიებენ, ხოლო მათ შვილებს, რომელთაც წილად ხვდათ მამა-პაპათა სანუკვარი ოცნების აღსრულება – აღთქმულ მიწაზე შესვლა, – „სიბნელის (წყვედიადის) თაობას“ უწოდებენ. ბრძენთა აზრით, უფროსი თაობა, ანუ „უდაბნოს თაობა“ შეიძლება შევადაროთ „მწყემსის კვერთხის ქვეშ მოხეტიალე ნახირს“ (სიტყვა „მიდბარ“ – „უდაბნო“ აგრეთვე შეიძლება განიმარტოს როგორც „საძოვარი“, „საბალახო“ – „ლეადბირ“).

რატომ ვერ შესძლო წმინდა მიწაზე შესვლა სასწაულების შემსწრე თაობამ, – ადამიანებმა, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს ეგვიპტის ათი სასჯელი, გზისმკვლევი სვეტი ნათლისა, მეწამული ზღვის გაპობა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიადი მოვლენა – ღრუბელსა და „მოლაპარაკე ცეცხლში“ გახვეული სინაის მთა, ციური მანა და მწყერი, მირიამის მოძრავი ჭა, სალი კლდიდან გადმოხეთქილი ანკარა წყალი; ადამიანებმა, რომლებმაც შექმნეს და ააგეს მიშქანი – გადასატანი ტაძარი? „ერთმა უბრალო მოსამსახურე ქალმა უფრო მეტი ნახა, ვიდრე ისრაელის წინასწარმეტყველებმა“).

რალაც გაგებით, ამ თაობის თითოეული ადამიანი მიმსგავსებულია ადამს – პირველ ადამიანს. „უდაბნოს თაობის“ დროს მოვევლინა მეორედ ყოვლადძლიერი ამ სამყაროს. ადამს თუ ერთი მითითება მისცა – არ ეჭამა ნაყოფი „ხისა ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“, „სინათლის თაობას“ მან ასობით მცნება უბოძა და სრულიად პრაქტიკული მისია დააკისრა – შესულიყო წმინდა მიწაზე დასამკვიდრებლად.

პირველი აზრი, რამაც კი შეიძლება გაგვიელვოს, არის ის, რომ უფლისძმიერი პირდაპირი ჩარევის ორივე ცდა ადამიანის მარცხით

დამთავრდა: ვერც ადამმა და ვერც „სინათლის თაობამ“ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება.

შევეცადოთ, – რაღაც გამართლება მაინც მოვიძიოთ მათ ქმედებებში:

პირველი ადამიანი დამკვიდრებული იყო სამოთხეში, რომლის არსებობაც მისთვის დიდ საიდუმლოებას წარმოადგენდა. ღმერთი უკრძალავს ადამს, ე.ი. ადამმა უკვე იცის, რომ არსებობს სიკეთე და ბოროტება, მაგრამ ეს ორი გაგება ცოცხლობს მის გარეთ – ბუნებაში, ხეზე („აკრძალული ხილი გემრიელია!“). ნაყოფის გემოს გასინჯვისთანავე ადამმა თავისი არსების შიგნით შეუშვა სიკეთე და ბოროტება. მისი ქმედება გამოწვეული იყო ადამიანში დაფარული ძლიერი სურვილით, ცნობისწადილით, ცხოველი ვნებით. სწორედ საკუთარი მეობის აღქმაშია ადამიანის სამოთხის საიდუმლოება – როცა მან უკვე იცის, რომ ესა თუ ის ქმედება აკრძალულია, ან, პირიქით, – ნაბრძანებია უმაღლესი ძალის – უზენაესის მიერ, რომელიც თავისი ნების დარღვევას მკაცრად სჯის, ხოლო შესრულებას – აჯილდოვებს. უფალმა შესაძლებლობა მისცა ადამს, რომ თავისუფალი არჩევანის პირობებში დაერთგუნა თავისი ინსტიქტები და აემაღლებინა საკუთარი გონება; მაგრამ ადამმა ვერ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. აწი შენ წყევტ და შენვე აგებ პასუხს შენსავე არჩევანზე. კარგია ეს? პასუხი ორმაგად რთულია: კარგი კი იქნებოდა, რომ შეესმინა ადამს ღმერთისა; ცოდვა-ბრალი ართულებს სამყაროს, მაგრამ, ამასთანავე, გვაძლევს კიდევ ადამიანურობის გამომჟღავნების შესაძლებლობას – ავირჩიოთ სიკეთე. „ხე ცნობადის“ ნაყოფის ჭამა ადამიანში შეგნების გავლიერს, მის მიერ თავისი თავის შემეცნებას ნიშნავს (ფეხზე რომ დააყენებს თოთო ბავშვს მშობელი, თვითონ კი ნაბიჯით უკან დაიხეკს, რათა ისწავლოს ჩვილმა დამოუკიდებლად სიარული). მთელი ეს ისტორია სხვა თეოლოგიებში გაცხადებულია პირველქმნილ ცოდვად, რითიც აღინიშნა კაცობრიობის დაბადება. ამას ებრაელები ამგვარად არასდროს არ გაიაზრებდნენ. რა თქმა უნდა, იყო გამოწვევა, და, რამდენადაც ადამიანებმა დაარღვიეს უფლისმიერი მცნება, ეს ცოდვისქმნად ფასდება, მაგრამ აზრი იმის შესახებ, რომ ყოველი ბავშვი უკვე ამ ცოდვით „დამდალული“ და „დალაქავებული“ იბადება – უცხოა იუდაიზმისთვის. ღმერთს არ ჩაუდია ადამიანში შთამომავლობით გადაცემითი ცუდი მიდრეკილებები. ადამიანი მან

მოამარაგა მთელი რიგი სწრაფვებითა და ალტკინებებით, რომლებიც, თავისი არსით, ნეიტრალურია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სიკეთის, ისე სიავის დანიშნულებით.

„უდაბნოს თაობის“ უდიდესი შეცდომა (რამაც, საბოლოოდ, მათი უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალი გამოიწვია) იყო ის, რომ ისინი შეშინდნენ წმინდა მიწაზე წარგზავნილ მზვერავთა მოტანილი ამბით, იფიქრეს, რომ – ასე ძნელად მოპოვებული თავისუფლების შემდეგ, ერეც ისრაელში ახალი მონობა ელოდათ. არადა, – როგორც ამ ფარაშის დასაწყისი გვამცნობს, – 2449 წელის იარის თვის პირველ დღეს, ანუ „ებრაელთა უდაბნოში ყოფნის მეორე წელს, მეორე თვის პირველ დღეს“, უფალმა უბრძანა მოშეს: „აღრიცხეთ ისრაელის ზვილთა მთელი თემი მათი ოჯახების, საბგარტომოს, სახელთა რიცხვის მიხედვით, ყოველი მამრი სულადობრივ. ოცი წლიდან მოყოლებული და მეტი ხნის...“, რამეთუ მისი კეთილი ნებით – ოცი დღის შემდეგ უნდა შესულიყვნენ ისინი აღთქმულ მიწაზე.

ამ ისტორიაში ნათლად ჩანს „უდაბნოს თაობის“ სისუსტე – გუშინდელ მონებს არ სურთ მიიღონ სხვისი ხელისუფლება, თუნდაც ის არსთგამრიგეს ეკუთვნოდეს.

ეს ხომ საშინელებაა!

მიუხედავად ამისა, შთამომავლობამ, როგორც ზემოთ ითქვა, ეს თაობა „სინათლის თაობის“ სახელით შეამკო. რატომ? რა თქმა უნდა, თაობებს შორის კავშირის გამო: უფროსმა თაობამ აღზარდა ქვიშაზე დაბადებული „სიბნელის თაობა“ – „შემქმნელნი დღისა“ – *გამოსვლის* შავი მუშები, რომლებიც მზად იყვნენ ებრძოლათ და ევაჭრათ, მოეხნათ და ეთესათ, ეშენებინათ და ექერწათ; მხოლოდ მათ შეეძლოთ დაესრულებინათ ყოვლადძლიერის დიადი გეგმა: **ბამოსვლა – თორის ბოძება – წმინდა მიწაზე დაბრუნება.**

დიდებულია თაობა, რომელსაც ძალუძს შეასრულოს თავისი მისია, მაგრამ კიდევ უფრო მაღლა დგას თაობა, რომელსაც ხელეწიფება აღზარდოს შვილები, რომლებიც ღირსეულად გაასრულებენ მამების დაწყებულ საქმეს. *გამოსვლის* ამოცანის შესრულებას ერთი თაობის ძალები არ ჰყოფნიდა; იგი შეეძლოთ შეესრულებინათ მამებსა და შვილებს – მეოცნებეებსა და პრაქტიკოსებს, მლოცველებსა და მეომრებს, მომთაბარეებსა და მიწათმოქმედებს.